

ახალი

# კუნძული

„მეფის ის, ვისაკ  
სამშობლოსთვის უძერს გული,,

31 ივნის - 14 აგვისტო 2013 წელი


№14 № 8048

ელფორა : AxaliGantiadi@gmail.com.




## ოფიციალური პროცესი

გვ2.



ქ  
ა  
რ  
ა  
ნ  
ა  
გ  
ა  
ე  
რ  
ა  
ს  
ი


ყორთულებისა ცერემონია გვ 4-5.



ჩემპიონი სამთავრისმი  
„დამრუნდა,, გვ3.



ლოდარ დახაპი - 85 გვ7.



ერთობლივი  
პროექტის  
ფარგლებები  
გვ6.



ის მზიანი შეჯუღრუმი გვ7.

გამოიწერეთ გაზეთი „სასროი განთიარეთ“

... რომ ის ცერე გვ5

მუსიკურისტის ფესტივალი გვ6

● კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ოლეგ იაქემ 12 ივლისს მსოფლიოს ექსპეზის, ევროპის ხუთგზის და მსოფლიო თასის ოთხგზის გამარჯვებულს ჭიდაობა სამბოში, სერგეი ლაპოვოკს უმასპინძლა. იგი სპეციალურად ივანე გამზტაშვილს ბიუსტის გახსნის ცერემონიალზე დასაწერებად ჩამოვიდა საქართველოში.

● კონფლიქტის საზღვრისპირა სოფელი საკორინთლო შედის კასპის მუნიციპალიტეტის ქვემო ჭალის ტერიტორიული ორგანოს შემადგენლობაში. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ იქ მაცხოვრებლებს დიდი სიძნელების ატანა უწევთ. ამას ისიც ემატება, რომ ყოველდღიურად ხდება სოფლიდან მაცხოვრებლების გატაცება, რომელთაც მხოლოდ 2000 რუბლის ჯარიმის გადახდის შედეგად ათავისუფლებენ.

საკორინთლოს მოსახლეობას შესვდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი ოლეგ იაქე, შეხვედრაზე გამოიკვეთა კონფლიქტის საზღვრის სოფლების სპეციფიკური პრობლემები, კერძოდ, საზღვარზე მავთულხლართების გავლება, აღნიშნული საკითხის მოგვარება, რათქმა უნდა, ადგილობრივ ხელისუფლებას არ შეუძლია. ოლეგ იაქემ მოსახლეობას აუხსნა, რომ ეს არის სრული-

სტუმარმა დიდი სიყვარულით გაიხსნა მისი და ოლეგ იაქეს მეგობრული ისტორიები და განაცხადა რომ „ბედნიერია ის რაიონი, რომელსაც ასეთი მებრძოლი სულის ხელმძღვანელი უდგას სათავეში“. ოლეგ იაქემ მეგობრობის ნიშაად სპორტსმენი კასპის მუნიციპალიტეტის გერბით დაასაჩუქრა.

ად საქართველოსათვის მტკიცნეული პრობლემა და ამის მოსაგვარებლად ცენტრალური ხელისუფლება ძალას არ იშურებს.

შეხვედრაზე აღნიშნა, რომ მოსახლეობის პრობლემად რჩება გაზისა და ელექტრონერგიის არასრულფასოვანი მიწოდება.

ოლეგ იაქეს შეხვედრაზე ახლდა მისი მოადგილე ზაზა მოსიაშვილი, „სოკარის“ გაზმომარაგების კრმბანის წარმომადგენელი კობა გიგილაშვილი და „ენერგო-პრო ჯორჯაის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი იოსებ მიდელაშვილი. შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ საკორინთლოს მოსახლეობას მიწოდა ინფორმაცია, რომ გაზის მაგისტრალის შიდა დაქსელვა დასრულდება 2013 წლის ბოლოს, ხოლო ინდივიდუალური გამრიცხველიანება 2014 წელს.




13 ივლისს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სამთავისში, ჭიდაობა სამბოში მსოფლიოს, ევროპისა და საქართველოს არაერთგზის ჩემპიონის და პრიზიორის – ივანე გამხიტაშვილის სახელის ჭიდაობის ახალი არენა გახსნეს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ოლეგ იაქემ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ზურაბ აზმათარაშვილმა და ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გელა ბერუაშვილმა.

ქართული ჭიდაობის ტურნირის დაწყებამდე, სამთავისის ეკლესიასთან ივანე გამხიტაშვილის ბიუსტი გაიხსნა. სიტყვით გამოვიდნენ და გარდაცვლილის სსოვნას პატივი მიაგეს მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა. ივანე გამხიტაშვილის დედამ მაღლობა გადაუხადა სტუმრებს, განსაკუთრებით სერგეი ლაპოვოკს, რომელიც სპეციალურად ამ

შეხვედრისთვის ჩამოვიდა რუსეთიდან. ფალავნის სახელობის ტურნირი ჩატარდა 2 წილით კატეგორიაში /80 კილოგრამი და აბსოლუტური/. საჭიდაოს გახსნას მოწვეულ სტუმრებთან და 400-მდე მაყურებელთან ერთად, ვეტერანი და მოქმედი მოჭიდავები, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები, სახელოვანი სპორტსმენები - რომან რურუა, ლევან თვდიაშვილი, კახი კახიაშვილი, ჯუმბერ ლეჯაგა ესწრებოდნენ. ქართული ჭიდაობის ტურნირის გამარჯვებულთათვის პრიზები, უკლადი ჯილდოები და ჭედილა იყო დაწესებული. საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით სხვადასხვა მუნიციპალურ ცენტრსა და სოფლებში სამოცამდე ახალი საჭიდო არენის გახსნა იგებმება.

ელენა გოგოლაური, კასპის მუნიციპალიტეტის გამგების მთავრი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.



მირიან მეფის ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა. კერძოდ შეიცვალა 18 მეტრი 250 მმ-ის დიამეტრის დაზიანებული საკანალიზაციო ქსელის მონაკვეთი.





# ჩემპიონი სამთავისში “დაბრუნდა”

ლეხურისპირელი ფალაგნი,  
სამთავისელი ვანო გამხიტრებვილი 13  
წლის წინ დაიღუპა ავტოავარიაში...

ქართველ სამბისტოა შორის  
აღიარებული და ტიტულოვანი მოჭი-  
დავე როდესაც საერთაშორისო სარ-  
ბიელზე გავიდა, 17 წლისაც არ იყო  
და მისი პირველივე ცდა (ჭაბუკ სამ-  
ბისტოა შორის) ოქანისგაღმელ მე-  
ტოქესთან ოქროს მედლით დაგვირ-  
გვინდა. ეს იყო 1989 წელს, მაშინ  
ხომ ქართველები ჯერ კიდევ სსრკ-  
ის სახელით ასპარეზობდნენ უცხო-  
ეთში...

მარტო საქართველოში კი არა,  
მთელ სპორტულ სამყაროში ღეგენდ-  
ასავით ჰყვებიან ვანო გამხიტაშვილ-  
ისა და რუსი სამბისტის სერგეი ლაპო-  
ვოკის სევდიან და შთამბეჭდავ თავ-  
გადასავალს. საქმე ის გახლავთ, რომ  
სერგეი ლაპოვოკი წლების განმავლო-  
ბაში ვანოს მუდმივი მეტოქე იყო.  
ერთხელაც, მსოფლიო ჩემპიონატზე  
ვანო გამხიტაშვილმა აშკარად და-  
ჯაძნა მოწინააღმდეგებ, მაგრამ მსაჯებმა  
ოქროს მედალი მაინც რუს მოჭიდავ-  
ეს მიაკუთვნეს. ამ ფაქტს თურქე,  
ყოველთვის განიცდიდა რუსი სპორტს-  
მენი... მერე კი, ვანოს გარდაცვალებ-  
ის შეძლებ მან თითქმის დაუჯერებე-  
ლი ჟესტით მკერდიდან ჩამოიხსნა  
დაუშახურებელი ჯილდო და ქართვ-  
ელ “მეგობრის და მეტოქის” მშობლებს  
ჩააბარა....

აღიარებულ სამბისტესა და  
საამაყო მოჭიდავეს, ივანე გამზიტაშ-  
ვილს წელს, 13 ივლისს 40 წელი  
შეუსრულდებოდა. ამ დღესთან დაკავ-  
შირებით სამთავრისში ახალი საჭიდაო  
არენა და მისი ბიუსტი გაიხსნა.  
სოფელს ამდენი სტუმარი კარგა ხანია  
არა ჰქოლია...

შეკრებილ საზოგადოებას, მოწვევულ სტუმრებს მიესალმა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი ოლეგ იახე, რომელმაც ბიუსტის (მოქანდაკე ჯემალ თუშურაშვილი) გახსნის ცერემონიალში მონაწილეობისათვის თხოვნით მიმართა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს ზურაბ აზმაიფარაშვილს და ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს გელა ბერუჟვილს...

ბიუსტის გახსნის შემდეგ კი,  
ახლადგახსნილ, კეთილმოწყობილ  
არენაზე გაიმართა ქართული ჭიდაო-  
ბის ტურნირი. ასპარეზობის დაწყე-  
ბამდე შეკრებილ საზოგადოებას, სოფ-  
ლის მოსახლეობას, ახალგაზრდობას  
მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს  
დედაქალაქიდან ჩამოსულმა სტუმრებ-  
მა. მათ შორის იყვნენ ვეტერანი  
სპორტსმენები, კულტურის თვალსა-  
ჩინო წარმომადგენლები, როგორიც არის  
მაგალითად, ლეგენდარული რომან  
რურუ და ლევან თევდიაშვილი, კახი  
კახიაშვილი, ჯუმბერ ლეჯავა და სხვა  
სახელოვანი ადამიანები, მათი გამოს-  
ვლები იყო დადგითად დამუხტული,  
ემოციური და იმედიანი... აპლოდის-  
მენტებისა და ემოციების ფონზე შეკრუ-



ბილთა წინაშე გამოვიდა ვანო გამხი-  
ტაშვილის მეგობარი და ღირსეული  
მეტოქე, რუსი სპორტსმენი სერგეი  
ლაპოვოკი, თავისი აღფრთოვანება და



შთაბეჭდილებები ვერ დაფარა მომხდარის გამო. მან მისდამი გამოჩენილი აულისხმილებისა და მეგობროვის გამოსახულის გამო.



ბისათვის, გულითადი ძასპინძლობისათვის მაღლობა გადაუხადა რაიონის ხელმძღვანელობას, სამთავისელებს, განსაკუთრებით კი, ვანო გამზიტაშვილის ოჯახს და ახლობლებს, სამეცნიეროს.



ვანო გამზიტაშვილისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ ტურნირზე გამარჯვებული მოჭიდავებისათვის დაწესებული იყო შესაბამისი პრიზები და ჯილდო, ფასიანი საჩუქრები.



# კულტურული მემკვიდრეობის სამსახური



ბავშვობის შთაბეჭდილებები  
მთელი ცხოვრება თანგდევს და გეხ-  
მარება გაზრდაში, სწორი გზით წასკლა-  
ში, თავად ამ გზის მოძიებაში. საუკეთე-  
სო ფრაგმენტებით იქმნება შენი ბავშ-  
ვობის დღესასწაულის ტილო, რომელ-  
იც დროთა განმავლობაში სულ უფრო  
საყვარელი და სასურველი ხდება, იქიდან  
მოყოლებული დადებითი ემოციები კი  
შენი ცხოვრების თვლის წერტილია.

ახალი წელი, დაბადების დღე,  
აღდგომა, სხვა მრავალი ოჯახური ზეიმი  
და გამოცდა-დღესასწაული, როცა პირვე-  
ლად ყველას დასანახად უნდა თქვა ლექსი,  
დაუკრა, იძღერო, იცეკვო, ან სულაც  
ლამაზი კაბით გაიარო სცენაზე, სადაც



ათასი თვალი გაფისებს ... ანუ დღე, როცა შენოვის შეუმჩნევლად იწყებ საკუთარი ძალების მოსინჯვას იმ გზაზე, სადაც უფროსები დაღლილები და მქონოთ საქსენი დადიან, დადიან, დადიან...

2013 წლის 5 ივნისს შ.პ.ს. “ჰარმონიაში” გაიმართა კასპის მუნიციპალური საღამო-ჩერება “ფერითა აღოვმი – 2013”.

ლეიი – 2013 :  
ლონისძიების საორგანიზაციო  
კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ  
შპ.ს. “პარმონია”-ს დირექტორი ზაზა  
გარეული მარიამ გარეული გარეული

მენაბდიშვილი; სამსატვრო ხელმძღვანელი – ლია მენაბდიშვილი – მასობრივ ღონისძიებათა რეჟისორი, კინომცოდნების დაცვისა და სი-

მართლის წილ უნდა დასაწყისშივე ვაღი- ხას ასე კუთხა, ასე გრძელებული,,  
კასპის მუნიციპალიტეტის გამგების



კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, გაზეთ „ახალი განთიადის“ რედაქტორი ნანა მერქაძეშვილი.

ია/; ჯიხოშვილი ანა „ოლელინა“ /მინდ-ვრების სიოს ფერია/; მეტურნიშვილი მარი „ჩიპირი“ /პეპლების მფარველი ფერია/; ხუციშვილი მანანა „შარილისა“ /მარადიული ბაობაბების ჰლანეტის ფე-

ამ შეხვედრას არ ჰყოლია დამ-  
არცხებული, ყველა მონაწილემ მხოლოდ  
მისთვის განკუთვნილი ფერის წოდება  
მოიპოვა, კერძოდ: მჭედლიშვილი ნინო  
“ნიკსი” /წინამდლოლთა პლანეტის ფე-



რია/; ტატიშვილი მარი “მარიგოლდი” / სურვილების კუნძულის ფერია”; ასპან-იძე ნინო “ნაიდა” / მომხიბვლელთა სამ-ყაროს ფერია/; ხორბალაძე თიკო “ბრი-უჩი” / მხიარული განწყობის პლანეტის ფერია/; კარბელაშვილი მარი “დინ-დინი” / კედემამოსილთა კუნძულის ფერია/; ბარ-ჯააძე მარიამი “ალვარი” / ეგზოტიკურ კუნძულთა ფერია/; პაპუაშვილი ელენე “ელვინა” / ირიალური სამყროს ფერია/; ილურიძე ანუკი “ორდალფი” / თვალებდღიმილიანთა პლანეტის ფერია/; აბულაძე თეონა “როზალბა” / დინჯების კუნძულთა ფერია/; ბექაური ნატალია “ბლოსუმი” / თვალყვავილიანთა პლანეტის ფერია/; ფავლებინიშვილი მარიამი “რიანონი” / კულტივირებული მარიანის ფერია/; ბახარობლიშვილი სალომე “თიანა” / ბაიების მინდვრების ფერია/; ქამხაძე სალომე “ღონელა” / დიდგულათა კუნძულის ფერია/; გეთაშვილი მარი “რაღელა” / უსერიოზულესთა პლანეტის ფერია/; ზანგური ზანდა “ელრინი” / მზეყვავილათა ქვეყნის ფერია/; ხორავა მარი “ლილიანა” / ლალთა პლანეტის ფერია/; ავდიევი თეონა “შეპერეზადი” / დედოფალათა სამყროს ფერია/; ტუხიაშვილი მარი “ღულჩინა” / ფრთაქარიანთა კუნძულის ფერია/; გინტური ხატია “ფეილინი” / სირინოზთა კუნძულის ფერია/; ნონიაშვილი ელენე “ლორე

\* დასასრული მე-5 გვ.





\* დასასრული

ლა” /ნატვრების სამყაროს ფერია/; შარიფოვი ანი “ფეირიდი” /კეთილი სურვილების პლანეტის ფერია/; ქამხაძე ქეთა “ოდეტი” /მძინარე მზეთუნახავების ქვეწის ფერია/; ბეჟიტაშვილი ნანა “უზღლი” /მოფიქრალთა სამყაროს ფერია/; მაისურაძე ლიზი “ლაილა” /პონოლულუს ფარვანათა ფერია/ და ბოლოს ლვანის დედოფალი/. მონაწილეებს გადაეცათ

სიგელები, ღვთისმშობლის ხატება. ღონისძიების სპონსორმა – მუსიკოსმა, პიეტმა და მეწარმემ არჩილ ჯოვაშვილმა ყველა მონაწილეს გადასცა სახურად საკუთარი ლექსების კრებული.

ღონისძიება მუსიკალურად გააფორმება კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დოკუმენტორმა ქართლის ხორგუშვილმა, ნუკას სკოლის” მონაწილემ, მომღრალმა მედებეჟიტაშვილმა; კასპის მე-2 მუნიციპალური ხალხური და საესტრადო სიმღერის

## ყურისებრიდან სცენაზე

კონკურს-ფესტივალის “და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი”-ს გამარჯვებულებმა: ლიზი სახალელმა, ხატია მამულაშვილმა, არჩილ მიგრალელმა, დათო მარამიძემ, საბა გულაშვილმა, თათა ხორგუშვილმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ და დამსწრე საზოგადოებასა და “ფერიათა აღლუმი”-ს მონაწილეებს მიესალმნენ: კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ომარ იაძე, საქართველოს პარლამენტის მაურიტარი

დეპუტატი კასპის მუნიციპალიტეტიდან დავით ონიფრიშვილი. ბატონმა დავითმა აღნაშნა, რომ იგი ბატონ ოლეგ ააქსოთან ერთად შეძლებისძლაგვარად იზრუნებს ქალაქისა და სოფლების კულტურის სახლების გაუმჯობესებაზე, გაეთდება ყველაფერი, რაც წინა ხელისუფლებამ ვერ გააკეთა.

ბავშვებისათვის ასეთი ფერადი და დაუცველებარი შეხვედრები გამართება სოფლების კულტურის სახლებში, რადგან ბავშვები, მართლაც საუკეთესოს იმსახურებენ.



ნება იყო. მაშინ, თუ მონაცემი არ ჰქონდა ბავშვს, თავიდანვე უარს ეუბნებოდნენ, მაგრამ თუ მიგიღებდნენ იცოდი, მარტო “ქორწილში ხელის გასამღელად” კი არ დადიოდი, ცეკვას გასწავლიდნენ და სამომავლოდ ასარჩევ გზებს შორის ჩნდებოდა ცეკვის მასწავლებლის არჩევანი. საუკეთესო შემთხვევაში “სუხიშვილებშიც” შეგძლო გეცადა ბედი. მაშინ ხშირად ფიქრიდნენ “მუსიკაზე თუ ცეკვაზე?” და ხშირად არჩევანი ამ უკანასკნელზე ჩერდებოდა. ოთხმოცდათიან წლებში მრგვალ დარბაზში გამართულ



იყო წლები როცა იზა თაბუკაშვილთან ქართული ხალხური ცეკვის შესწავლა ყველა მოსწავლის ოც-



საღამოზე იზა თაბუკაშვილისა და დომენტი მამულაშვილის შესრულებული ცეკვა “ქართული” ჩვენა პროვინციული ქალაქის ოქროს ჩნაწერად იქცა. სიარულის იზა თაბუკაშვილის მანერა დღემდე შესაშური გახლავთ. ერთი სიტყვით, ამ გვარისა და სახელის ხსნებას კარგა ხანია არ სჭირდება დამატება ცეკვის მასწავლებელი, რადგან მათ ვისაც ცეკვაზე არ გვივლია ქეჩაში მაინც გვინახავს იზა მასწავლებლის მოძრაობა. და როგორც ყველაფერი უბრალოდ გენიალურის აღმისას დაგვირჩეულებით, - ასე ჩვენს ქალაქში კიდევ რამდენი ადამიანი დადის.

ეს მოკლე ექსკურსი ახალგაზრდებისათვის დაგვჭირდა, თორებ უკვე არა ახალგაზრდებს კარგად გვახსოვს იმ წლების ეპოქა.

ქალაქობრი იზა ყველასათვის ცნობილი ეკონომიკური ძნელების გამო ჩვენი მრავალი თანამოქალაქის მსგავსად საზღვარგარეთ სამუშაოდ წავიდა, თუმც, წელიწადში ერთხელ მაინც ბრუნდებოდა ქლაქში და გულდასმით

\* დასასრული მე-6 გვ.

# ერთობლივი პროექტის ფარგლებში

საქართველოს კულტურისა და მეცნიერებლის სამინისტრო და საქართველოს უსინათლითა კავშირი ახორციელებს ერთობლივ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს კონცერტების გამართვას ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონში. სწორედ ამ ერთობლივი პროექტის შემადგენელი ნაწილი გახდათ ამ დღეებში ქასპში, კულტურის სახლში (შპს “პარმონია”) გამართული კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ: საქართველოს უსინათლოთა კავშირის მუსიკალური ცენტრის ფოლკლორული ანსამბლები და ინდი-

ლით, რომელმაც შეასრულა ქართული და უცხოური საესტრადო სიმღერები. კონცერტის ბოლოს სცენაზე ყველამ ერთად მოიყარა თავი და შესრულდა ქართველთა სამაყო “ჩაგრული”, რომელმაც დარბაზის აპლოდისმენტებიც დაიმსახურა.

— კასპში ჩამოსვლამდე გასვლითი კონცერტი გამართეთ გორისა და ბოლონიში, — აცხადებს საქართველოს უსინათლითა კავშირის მუსიკალური ცენტრის დირექტორი ცირა ვეფხვაძე, — თბილად შეგვხვდა აქაური მაყურებელი, მსურს გულითადი მადლობა მოვახ-

## \* დასასრული \*

აკვირდებოდა მშობლიური ქალაქის ცხოვრებას.

ერთი წელია რაც იზა მასწავლებელი დაბრუნდა და გასული წლის ოქტომბრიდან ამეცადინებს ანსამბლ “გორგასალს”, რომელიც ამ დღეებში გამართულ ჯავარ ნაჭეულების სახელობის ფესტივალ-კონკურსის ლაურეატი გახდა. სხვათა შორის, იზა თბილური კოლთან მსწავლებელსწავლელ ჯგუფში ცეკვის შესწავლა შეუძლია ნებისმიერ მსურველს 6 წლიდან - 18 წლამდე და ზევით.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ იზა თბილური წლების განმავლობაში ქორეოგრაფ დომენტი მამულაშვილთან ერთად ცეკვას ასწავლიდა თაობებს. იყვნენ გასტროლებზე ბულგარეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. იტალიაში ახალგაზრდობის ფესტივალის შემდეგ არ ყოფილ გასტროლები და კონკურსები ..

დღით დღრო გაგიდა, მაგრამ გამარჯვება არასოდეს არ არის გვან. ჩვენს მუნიციპალიტეტში ქართული ხალხური ცეკვის შემსახულები მართლაც ბევრი

... ირმი  
ის  
სცენა



და გარგი სტუდია მუმაობს, მაგრამ მაინც სასიხარულოა, რომ იზა თბილური დაუბრუნდა თავისი ცხოვრების საქმეს და თავის ქალაქს; დანარჩენს დღო და სცენა გვიზენებს.

## რესპუბლიკური ტურნირი

კასპში, წელს უკვე მეექვსედ გაიმართა გიორგი (გორგა) მერგაბაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ 1993-9-4-95 წლებში დაბადებული ჭაბუკები.

ღია საჭიდაო არენაზე გამართული პაქრობა, რომელსაც მრავალი მაყურებელი ადვინდებდა თვალს, დაბაბულად წარიმართა. წონითი კატეგორიების მიხედვით პარველი ადვილები მოიპოვეს: ზაზა ჯანანაშვილმა /კასპი, 45კგ. წონითი კატეგორია/, გიორგი გაბინაშვილმა /კასპი, 50კგ. წონ. კატეგ./, გურამ ჯაჭუტაშვილმა /ქარელი, 55კგ. წონ. კატეგ./, გაერთიანება.

## იყავით ჯანერობი

### კიტრის სამკურნალო თვისებები

ცოტამ თუ იცის, რომ კიტრი ერთ-ერთი უძველესი საკებადა. მას ჩვენს წლელთაღრიცხვამდე 3 ათასი წლით ადრე მიირიმევდნენ.

კიტრში 95 პროცენტი წყალია, 5 პროცენტი ნახშირწყლები, ცილები, ვიტამინები, ორგანული მჟავები და ნაცარი, აქედან 2 – 2,5 შაქრები, 0,4 კი მინერალური ნივთიერებებია. კიტრი შეიცავს C, B1, B2 ვიტამინებს და A პროვიტამინს, პექტინებს, მარილებს, მაგნიტებს, რკინას, ალუმინის, სილიციუმს და ეთერზეობებს. კიტრი მდიდარია ფოსფორით, კალიუმითა და კალციუმით. მასში აღმოჩენილია ვერცხლის მარილებიც.

კიტრი ცნობილია, როგორც სიცხის დამწევი, ბაქტერიოციდული, ანთების საწინააღმდევო, დამარბალებელი, დამატებირებელი, ტაივილგამაფეხუბელი, შემომგარსველი, შარდმდენი, ნაღველმდენი საშუალება. პექტინები, რომელსაც კიტრი შეიცავს, აუბჯობესებს საჭმლის მონელებელ ტრაქტში ლპობის პროცესებს. აღმირებს კუჭ-ნაწლავში პერისტალტიკას, არეგულირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, აუმჯობესებს მეზიერებას, ამშვიდებს ნერ-

ველ სისტემას, აფერხებას ათეროსკლეროზის განვითარებას, ხელს უშლის წონაში მომატებას, კანს უნარუნებს ტონუსსა და ელისტიკურობას, კლავს წეურვილს.

ღვიძლი ღოჭიდვები დაკილდოვდნენ თასებითა და ფასიანი საჩურებით. შმაგი შარიფეშვილს /მძიმე წონა/ გადაეცა დაწესებული პრიზი—ყოჩი. ტურნირის მთავარი მსაჯი იყო მსოფლიო ჩეპიონი ჭიდაობა სამბოში ბადრი ჯანანაშვილი.

**სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.**

დღიძლი სა და თირგმელებით დაავადებულებს ენიშნებათ კიტრით განტვირთვის დღეები. გასტრიტისა და წყლებულების გამწვევების დროს რეკომენდებულია თაფლგარეული კიტრის წვერის მიღება: 1 ს/კ დღეში 2-ჯერ, ჭამამდე 30-40 წუთით ადრე, ასევე შეგიძლიათ კიტრის დააყოლოთ თაფლი. უძველესი დროიდან კიტრის კოსმეტიკოლოგიაში იყენებენ. ნაოჭების გასასწორებლად სახეზე 10-15 წუთით კიტრის ნაჭრები უნდა დაიღოთ.

კიტრისგან შეიძლება სახის გამწმენდი ლოსიონების დამზადება.

1. გახეხილი კიტრი რამდენიმე ფეხა დოლაბანდში გაწურეთ, წვენს დაასხიო რკინებრ მეტი სპირტი და შეინახეთ ჰერმეტულდ დაზურულ მინის ჭურჭელში. გამოყენებისას ლოსიონი წყლით გაზავთ (1:2).

2. 5 საშუალო ზომის კიტრი გახეხეთ, დაამატეთ 5 გარდისა და 2 თეთრი შერიშის ფავილების ფურცლები, დაასხიო ჩაის ჭიქა ანადუღარი თბილი წყალი, 1 ს/კ გლიცერინი და ლიმონის წვენი. ამ ლოსიონით კანის გაწმენდის შემდეგ სახეზე მკებავი კრემი წაისვით.





## ის მჩიანი შეჯურიაზი



ნოდარ დუმბაძე ჩემი თაობის (და არა მარტო ჩემი) კერპაია. ახლაც თვალწინ მიდგას ის გაოცება და ემოციები (მაშინ სტუდენტი გახლდით), როცა აქმდე უცნობი სტილითა და ტექნიკით შესრულებულ რომანს ვკითხულიბდით, რომელიც სავსე იყო ცრუმლნარევი იუმორით, ამოუწურავი ფანტაზიით, სასაცილო გაზოდებით, ბუქნარივი პასაჟებით, ადამიანური სევდითა და ტექნიკურით... ამიტომ დადგა დიდი რიგები საგაზეთო ჯიხურებთან, ხელმომწერებთან, ბიბლიოთეკებში... და “ცისკარიც” ხელიდან ხელში გადადიოდა, იცრიცებოდა, ფერმერთალდებოდა...

ეგ კია, რომ გვიკვირდა, ასეთი დიდი სითბო და სიყვარულით გაჯერებული რომანი “შე ბებია, ილიკო და ილარიონი”, რომელიც კაცომოვარებისა და პუმანურობის საგალობელი იყო, რატომ ამოავარა რედაქციამ უშრანდის იუმორისტულ განყოფილებას და თანაც ისეთი წვრილი შრიფტით, როგორიც პეტოტია. ჩანს იმდროინდელი მკაცრი ცენზურისა და კომუნისტური წენის ქვეშ მყოფი უშრანდისათვის, გამოსავალი სწორედ ეს იყო, რამეთუ, შესაძლოა დაეხურათ. აკ მოჰყა კადეც მავნთა კრიტიკა: “იგი ქართული რომანის დევრადირების სიმპტომად იქნა გამოცხადებული თავისი ვითომცდა არასერიოზულობის გამო” (გულისტკივილით გვამცნობს კრიტიკოს გურამ გვერდწითელი).

ნოდარ დუმბაძის მწერლური შესაძლებლობები კიდევ უფრო მძლავრად წარმოჩნდა შემდგომ გამოქვებულ რომანებში “შე ვხედავ შენს”, “შზიანი ღმე”, “უ გეშინია დედა”, “თეორი ბაირალები”, “მარადისობის კანონი”... პრესა დაიპყრო მისმა ნოველებმა, იუმორისტულმა მოთხრობებმა, ლირიკულმა და საბავშვო ლექსებმა... თეატრებში იდგებოდა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებზე შექმნილი სპექტაკლები, კრანზე გამოდიოდა კინო-ფილმები, მზადებოდა სატელევიზიო გადაცემები, იწერებოდა სიძლერები...

იშვიათად რგებათ ასეთი პოპულარობა ქართველ მწერლებს და ეს ბუნებრივიც იყო, რამეთუ, ჩვენი თანამედროვე გახლდათ ნოდარ დუმბაძე და გვხიბლავდა მისი უშუალობა, იუმორი და რაც მთავარია, მზიანი გული, რომლითაც მიდიოდა იგი მკითხველებთან. სიცოცხლეშივე აღიარებულ კლასიკოსს მინიჭებული პქნება შოთა რუსთაველის სახელობის პრემია... არც სხვა საშელმწიფო პრემიები, ჯილდოები და რეკალიები აკლდა. მისი წიგნები მრავალ ენაზე თრაგმილი, განვითარილია თითქმის კველა კონტინენტზე, გამოცემულია საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ადრე წავიდა, მეტად ადრე (გარდაიცვალა 1984 წლის 14 სექტემბერს). თავისი სანმოკლე სიცოცხლე ქართველი ერისა და ქვეყნის სიყვარულში დახარჯა, თუმცა, ნაყოფიც მოიმკა, საყველთაო სიყვარული და აღიარება არ დაკლდა.

ახლა საქართველოში ნოდარ დუმბაძის საიუბილეო დღეებია (14 ივნისს შეუსრულდა 85 წელი), გულგრილი ვერ შევხვდი ამ თარიღს და “გავადე” მექსიერების სალარო და ის მზიანი შეხვედრები “გავაცოცხლე”, რომლის მომსწრე და მონაწილეც თავად ვიყვავი... მერე ფოტო-მასალაც მოვიძიე ჩემს საოჯახო არქივში, რომელიც უშუალოდ ჩემს მიერ არის გადაღებული.

გასული საუკუნის 70-იან წლებში კასპის რაიონს ერუდირებული, ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი დამფასებელი პიროვნება ლევან ისაკაძე ხელმძღვანელობდა. სწორედ მისი თავკაციითა და ორგანიზატორობით მოიწვევს ჩვენი დიდი კლასიკოსი, საქართველოს მწერალთა კუმინის თავმჯდომარე ნოდარ დუმბაძე, რომელმაც პატივი მიიღო და თან იახლა ასევე გამოჩნილი მწერლები არჩილ სულაკაური, ოთარ მამფორია და აფხაზეთის მწერალთა კავშირის

თავმჯდომარე ივანე თარბა. მთავარი მასპინძლი კასპის ცემენტის ქარხანა გახლდათ, რომელსაც ასევე ცნობილი პიროვნება თენგიზ ალიბეგაშვილი ხელმძღვანელობდა.

ნოდარ დუმბაძე, აღიარებულ მწერალთა ეკიპაჟით კასპის ესტუმრა. აქ მას რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად შეუერთდნენ ასევე ცნობილი მწერლები გიორგი ხორგუაშვილი (კასპის მხარეთმცოდნების მუზეუმის დირექტორი) და პოეტი და დრამატურგი გურამ კლდიაშვილი (რაიონულ გაზეთ “განთიადის” მაშინდელი რედაქტორი).

ის დღე კასპში დღესასწაულს უფრო ჰგავდა, ვიდრე უბრალოდ შეხვედრას, რაც უზადოდ აღბეჭდა კიდეც ჩვენი გაზეთის ფოტო-რეპორტიორმა ვლადიმერ მჭედლიშვილმა და ისტორიას შემოუნახა დოკუმენტური მასალა მწერლისა, რომელმაც ყველა პატივი, რაც სიცოცხლეში მოიმკა, თავისი ელვარე ნიჭითა და მზიანი გულით დაიმსახურა.


ნოდარ დუმბაძის ბორგრაფები გვერდს ვერ აუკლიან კიდეც ერთ ღონისძიებას, რომელიც არა მარტო მასშტაბური იყო და საზეიმო ელვერში გახვეული, არამედ, თავისი დანიშნულებაც პქნება: იგი ახალგაზრდა შემოქმედთა დაოსტატებას ისახავდა მიზნად და ამიტომ მიგვიწვიეს თელავში 1974 წლის 12 ოქტომბერს, სადაც ხეთი დღის განმავლიბაში მიმდინარებდა საქართველოს ახალგაზრდა მწერალთა მეორე რესპუბლიკური თაბირი, რომლის სულისამდგმელი, ორგანიზატორი და მონაწილე საქართველოს მწერალთა კავშირი იყო, თაგმადომარე კი ნოდარ დუმბაძე გახლდათ.

ამ თათბირის მონაწილეთა შორის აღმოჩნდი მეც, თქვენი მონა-მორჩილი, მაგრამ არა როგორც შურალის ხელის მაშინ გაზეთ “განთიადის” რედაქტორის მოადგილე ვეუშაობდი, არამედ, როგორც ახალგაზრდა შემოქმედი, რომელსაც ლექსები უკვე გამოქვეყნებული მქონდა რესპუბლიკურ და რაიონულ პრესაში დაიმსახურა.

პატივი მზვდა წილად, ახალგაზრდა პოეტებთან (ვისაც გულში ლექსის ხანძრი გვენთო) და პროზაიკოსთან ერთად, გაგვეზიარებინა ის უბედისერების წუთები, რაც კახეთში 12-17 ოქტომბერს ვიზილეთ და განვიცადეთ. ნოდარ დუმბაძეს თან ახლდა ქართველ მწერალთა დიდი არმა. აქ იყვნენ პოეტები, მწერლები, მთარგმენტები, კრიტიკოსები და არა მარტო საქართველოდან...

დრომ ვერ გახვენა ის შთაბეჭდილებები (თუმცა მას შემდეგ ოთხ ათები დღეში შემოკლებში მარჯვნივ გავიდა, რაც თელავში კართული მწერლების კორიფეულების სიახლოებები, მოგზაურობები წინანდალში, იყალთოში, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გამართული პაექტორები, სემინარული მუშობები, თავისუფალ დროს თელავის ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულებანი და რაც კველაზე თვალშისაც ცემი იყო: ქართველი სტუმარ-მასპინძლების რიტუალები, ანუ ლხინა კახელებთან, რომელიც ღმერთების ტრაქცებს უფრო ჰგავდა, ვიდრე, უბრალოდ ბანკეტს, სადაც გავითავისეთ ნოდარ დუმბაძის განუმეორებელი ხიბლი, მისი მზიანი გულის სითბო, რომელიც უხვად იყო დაფრენებული იუმორში, ლექსებსა თუ უბრალოდ საღვევმძღვრებში...

მომიტევეთ მკითხველო, თუ ვერ შევძებელი ფოტო-ფირზე სრულყოფილდ აღმებეჭდა იმ განუმეორებულ დღეებების ეპიზოდები, თუმცა როგორც ახალგაზრდა მოვიმარჯვე ჩემი ფოტოაპარატი “ფედი” და ფირზე აღვბეჭდე პოეტის სექციის მუშაობის ერთი წამი (სექციას პოეტი ჯანსულ ჩარგვიანი ხელმძღვანელობდა), რომელსაც ესწრებოდა ნოდარ დუმბაძე და სი-



ტელითაც გამოვიდა (სურათებზე ცენტრში, მარჯვნივ – კრიტიკოსი თენგიზ ბუაჩიძე). შესვენებისას კა, თელავის მთავარ მოედანზე აღვბეჭდე ისინი ფირზე, მართალია არცთუ პროფესიონალურად, მაგრამ, ფოტოები მაინც უნიკალურია და პირველი ქვენდება. კანონზომიერი იყო ნოდარ დუმბაძის შემოსვლა ქართველობაში თენგიზ ბუაჩიძისას კა, თელავის მთავარ მოედანზე აღვბეჭდე ისინი ფირზე, მართალია არცთუ პროფესიონალურად, მაგრამ, ფოტოები მაინც უნიკალურია და პირველი ქვენდება.

კანონზომიერი იყო ნოდარ დუმბაძის შემოსვლა ქართველობაში მწერლობაში. მას გულში და შემოქმედებაში მზე ენოთ, - (გურამ გვერდწითელის სიტყვებია), - მზით სავსე სამყარო შექმნა, დაგვიხატა და დაგვიტოვა”...

მზიანი იყო ის შეხვედრებიც, საქართველოში რომ იმართებოდა უკვდავებასა და მარადიულობაში გადასულ მწერალთან.

ნორა ედიშერაშვილი, კასპი, 22 ივნისი, 2013 წელი.

**გამოიხატეთ  
“სასროი გამოიხატეთ”  
და გამოიხატეთ  
ჩემი მითხვა”**

